

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
1. ძირითადი საქმიანობა	7
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის პირველადი გამოყენების ზოგადი პირობები	9
საანგარიშგებო ვალუტა	9
უცხოური ვალუტა	9
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	10
ცვეთა.....	10
არამატერიალური აქტივები	11
მოგების გადასახადი	11
მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან	11
დამატებული ღირებულების გადასახადი	12
სასაქონლო მატერიალური მარაგები	12
ფინანსური ინსტრუმენტები	12
სესხები და მოთხოვნები.....	13
ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.....	13
ფინანსური ვალდებულებები.....	13
ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა	13
გადახურვა	14
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	14
მოკლევადიანი მოთხოვნები.....	14
გადახდილი ავანსები	14

განთავსებული კაპიტალი	14
ლივიდენდები	14
ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები	14
შემოსავლების აღიარება	15
ფინანსური შემოსავალი და ხარჯები	15
თანამშრომლების სარგებელი	15
გაქვითვა	15
კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები	15
ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა.....	16
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი.....	16
2. ჯგუფის ძირითადი საშუალებები	17
3. არამატერიალური აქტივები.....	18
4. მარაგები	18
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	19
7. მიღებული სესხები.....	19
8. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	20
9. ადმინისტრაციული ხარჯები.....	20
10. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან.....	21
სასამართლო დავები.....	21
გადასახადები	21
გარემოსდაცვითი საკითხები	21
დაზღვევა	22
კაპიტალის მართვა	22

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	<u>შენიშვნა</u>	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2	2,628,183	1,718,558
არამატერიალური აქტივები	3	6,339	6,339
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,634,522	1,724,897
მარაგები	4	144,546	99,935
გაცემული სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,561,461	859,579
საგადასახადო აქტივი		11,940	-
ფული და ფულის ექვივალენტები	6	66,411	182,888
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,784,358	1,142,402
სულ აქტივები		4,418,880	2,867,299
კაპიტალი და ვალდებულებები			
განთავსებული კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		1,784,544	1,755,778
სულ კაპიტალი		1,786,544	1,752,778
გრძელვადიანი სესხები	7	2,129,353	584,260
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,129,353	584,260
მოკლევადიანი სესხები	7	225,000	225,340
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები		330,154	304,921
საგადასახადო ვალდებულებები		(52,961)	-
მიღებული ავანსები		790	2
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		502,983	530,261
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,418,880	2,867,299

დირექტორი: ალექსანდრე რატიშვილი (პ/ნ 01024013895)

ხელმოწერა: _____

2025 წლის 29 სექტემბერი,


თბილისი, საქართველო

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2	2,628,183	1,718,558
არამატერიალური აქტივები	3	6,339	6,339
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,634,522	1,724,897
მარაგები	4	144,546	99,935
გაცემული სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,561,461	859,579
საგადასახადო აქტივი		11,940	-
ფული და ფულის ექვივალენტები	6	66,411	182,888
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,784,358	1,142,402
სულ აქტივები		4,418,880	2,867,299
კაპიტალი და ვალდებულებები			
განთავსებული კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		1,784,544	1,755,778
სულ კაპიტალი		1,786,544	1,752,778
გრძელვადიანი სესხები	7	2,129,353	584,260
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,129,353	584,260
მოკლევადიანი სესხები	7	225,000	225,340
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები		330,154	304,921
საგადასახადო ვალდებულებები		(52,961)	-
მიღებული ავანსები		790	2
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		502,983	530,261
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,418,880	2,867,299

დირექტორი: ალექსანდრე რატიშვილი (პ/ნ 01024013895)

ხელმოწერა: 

2025 წლის 29 სექტემბერი,

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	<u>შენიშვნა</u>	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ერთობლივი შემოსავალი რეალიზაციიდან		7,093,051	5,481,685
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან		-	-
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8	(3,557,122)	(2,905,746)
საერთო მოგება		3,535,930	2,575,939
სხვა საოპერაციო ხარჯი			
ხელფასის ხარჯი		(709,018)	(728,061)
ტრანსპორტირების ხარჯი		(137,397)	-
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(266,988)	(1,429,820)
მიწოდების ხარჯები		(1,962,351)	-
ცვეთის ხარჯი		(300,465)	(283,403)
სხვა ხარჯი		(8,371)	(80,890)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი		(3,390,119)	(2,522,174)
არასაოპერაციო შემოსავალი			
საპროცენტო შემოსავალი		-	-
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება		23,817	80,000
მიღებული დივიდენდი		-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		8,446	7,863
სულ არასაოპერაციო შემოსავალი		32,263	87,863
არასაოპერაციო ხარჯი			
საპროცენტო ხარჯი		(121,488)	-
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(70,733)	(101,583)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(28,923)	(107,648)
სულ არასაოპერაციო ხარჯი		(221,144)	(209,231)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(37,541)	(67,603)

დირექტორი: ალექსანდრე რატიშვილი (პ/ნ 01024013895)

ხელმოწერა: _____

2025 წლის 29 სექტემბერი,


თბილისი, საქართველო

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ერთობლივი შემოსავალი რეალიზაციიდან		7,093,051	5,481,685
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან		-	-
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8	(3,557,122)	(2,905,746)
საერთო მოგება		3,535,930	2,575,939
სხვა საოპერაციო ხარჯი			
ხელფასის ხარჯი		(709,018)	(728,061)
ტრანსპორტირების ხარჯი		(137,397)	-
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(266,988)	(1,429,820)
მიწოდების ხარჯები		(1,962,351)	-
ცვეთის ხარჯი		(300,465)	(283,403)
სხვა ხარჯი		(8,371)	(80,890)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი		(3,390,119)	(2,522,174)
არასაოპერაციო შემოსავალი			
საპროცენტო შემოსავალი		-	-
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება		23,817	80,000
მიღებული დივიდენდი		-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		8,446	7,863
სულ არასაოპერაციო შემოსავალი		32,263	87,863
არასაოპერაციო ხარჯი			
საპროცენტო ხარჯი		(121,488)	-
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(70,733)	(101,583)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(28,923)	(107,648)
სულ არასაოპერაციო ხარჯი		(221,144)	(209,231)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(37,541)	(67,603)

დირექტორი: ალექსანდრე რატიშვილი (პ/ნ 01024013895)

ხელმოწერა: 

2025 წლის 29 სექტემბერი,

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2023			
შენატანი და განაწილებები	2,000	1,818,381	1,820,381
დივიდენდები	-	-	-
განთავსებული კაპიტალის ზრდა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	(67,603)	(67,603)
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	2	1751	1753
ბალანსი 1 იანვარი 2024			
შენატანი და განაწილებები	2000	1,750,778	1,752,778
დივიდენდები	-	-	-
განთავსებული კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	71,307	71,307
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	(37,541)	(37,541)
ბალანსი 31 დეკემბერი 2024		1,784,544	1,786,544

დირექტორი: ალექსანდრე რატიშვილი (პ/ნ 01024013895)

ხელმოწერა: _____

2025 წლის 29 სექტემბერი,

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2023			
შენატანი და განაწილებები	2,000	1,818,381	1,820,381
დივიდენდები	-	-	-
განთავსებული კაპიტალის ზრდა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	(67,603)	(67,603)
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	2	1751	1753
ბალანსი 1 იანვარი 2024			
შენატანი და განაწილებები	2000	1,750,778	1,752,778
დივიდენდები	-	-	-
განთავსებული კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	71,307	71,307
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	(37,541)	(37,541)
ბალანსი 31 დეკემბერი 2024		1,784,544	1,786,544

დირექტორი: ალექსანდრე რატიშვილი (პ/ნ 01024013895)

ხელმოწერა: 

2025 წლის 29 სექტემბერი,

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ემსიბი ჯორჯია“. როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, 1998 წლის 10 აპრილს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნებულ/რეორგანიზებული იქნა ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლოს დადგენილებით, რეგისტრაციის # 1/4-782.

საზოგადოების საგადასახადო რეგისტრაცია (აღრიცხვაზე აყვანა) განახორციელა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ და მიანიჭა გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 200037986.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლებს წარმოადგენს 2 ფიზიკური პირი და 1 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2024 წლის ივნისის თვეში შპს ჭყონია და კომპანია-მ (ს/კ 202060312) გაასხვისა კუთვნილი 52.5 % წილი შპს სალგო-ზე. პარტნიორების წილობრივი მდგომარეობა შემდეგნაირია:

შპს სალგო (ს/კ 405710832) - 52.5 %;

ალექსანდრე რატიშვილი (პ/ნ 01024013895) - წილი 25 %;

ქეთევან ჩხიკვაძე (პ/ნ 01024036033) - წილი 22.5 %.

კომპანიის დირექტორია ალექსანდრე რატიშვილი.

საზოგადოების განთავსებული კაპიტალი შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს.

ანგარიშგების მომზადების დროს, საზოგადოებს იურიდიულ და ფაქტურ მისამართს წარმოადგენს: საქართველო, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 217ა.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პურ-ფუნთუშეულის წარმოება და დისტრიბუცია-რეალიზაცია. წარმოებული პროდუქცია წარმოდგენილია საქართველოში არსებულ თითქმის ყველა მსხვილ სავაჭრო სუპერმარკეტების ქსელში. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის არეალი ფაქტობრივად არ სცილდება საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებს, ქ. თბილისის, ქ. რუსთავისა და სხვა ძირითად ქალაქებს.

31.12.2023 წლისათვის საზოგადოებაში მუშაობდა 80 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, 31.12.2024 წლისათვის კი 71 თანამშრომელი.

2024 წლის 20 სექტემბრიდან ჰყავს შვილობილი კომპანია შპს რეიხები და კომპანია (ს/კ 406485959). შპს ემ სი ბი ჯორჯია ფლობს შპს რეიხები და კომპანია-ის 50 %-ს.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთა- შორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთა- შორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას

სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის

ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შესაბამისი ფინანსური რეზერვი, აგრეთვე, ბაზის ფინანსური მდგრადობის გარანტია, ასევე წმინდა აქტივების ღირებულება და ლიკვიდობის მაღალი დონე, საფრთხეს არ უქმნის კომპანიას ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

2.1. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგება შედგება შპს ემ სი ბისა და მისი შვილობილი კომპანიების შპს

რეიხები და კომპანიის ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი. 2024 წლის პერიოდში შვილობილ კომპანიაში არ ვლინდება სამეურნეო ოპერაციები.

შპს ემ სი ბი-ს შვილობილი კომპანიის შესახებ ინფორმაცია:

სახელწოდება	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის და საქმიანობის ადგილი	ფლობილი წილი/ხმის	
			საქმიანობის ადგილი	
			20/09/2024	31/12/2024
1. შპს რეიხები და კომპანია	ორცხობილებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება; ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოება	საქართველო	50	50
	ორცხობილებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება; ხანგრძლივი შენახვის			

ძირითადი საადრიცხო პოლიტიკა ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის პირველადი გამოყენების ზოგადი პირობები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საადრიცხო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2,8068	2,6894
ლარი/1 ევრო	2,9306	2,9753

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთის ღარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით. ცვეთის ღარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობა-ნაგებობები	20
საწარმოო დანადგარები	20
ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე მოწყობილობები	5
მსუბუქი ავტომობილები	5
სხვა სატრანსპორტო საშუალებები	5
არამატერიალური აქტივები	6
სხვა ძირითადი საშუალებები	5

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ პროგრამულ უზრუნველყოფას. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ეკონომიკური სასარგებლო მომსახურების ექვს წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფუძნება 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იზეგრება 15/85 პროპორციით.

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად არ წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება 2017 წლის 01 იანვრიდან.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე, საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ-ს აღიარება და ასახვა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ხორციელდება ნეტო თანხით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სამშენებლო მასალებს, ძირითადი საშუალებების სათადარიგო ნაწილებს, საცხებ-საპოხ მასალებსა და საწვავს. მათი შეფასება ხდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი სარეალიზაციო ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალი ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში, კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულებანაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

განთავსებული კაპიტალი

განთავსებული კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. განთავსებული კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ. კომპანიის განთავსებული კაპიტალი 2023 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 2000 ლარი.

ლივიდენდები

ლივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი ლივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავლის მიღება ხდება რეალიზებული საქონლის ანდა მომსახურების საფასურის სახით, რომელიც განისაზღვრება მათი საფასურის მიხედვით. შემოსავალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოედინება და შემოსავალი შესაძლოა საიმედოდ იქნას შეფასებული. შემოსავლები მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ნებისმიერი სააქრო ამონაგების, დისკონტირების, ფასდაკლებისა და დღგ-ის გამოკლებით.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან - აღიარდება როდესაც საქონლის მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება გადაეცემა კლიენტს და კლიენტი მიიღებს საქონელს.

შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან - აღიარდება მომსახურების გაწევის დასრულების მომენტში.

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ანაზღაურების საფუძველზე და არ მოიცავს მესამე მხარეთა სახელით მოკრებილ თანხებს. კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც პროდუქტზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს.

ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად კომპანია რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. კომპანია თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. კომპანია ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს კომპანიაში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

2. ჯგუფის ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2023	84,340	-	602,503	1,232,426	237,089	376,911	2,533,269
დამატება	-	-	-	23,167	31,183	-	54,351
გასვლა	-	-	-	-	(6,339)	(2,625)	(8,964)
გადაჯგუფება	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	84,340	-	602,503	1,255,593	261,933	374,286	2,578,656
ნაშთი 1 იანვარი 2024	84,340	-	602,503	1,255,593	261,933	374,286	2,578,656
დამატება	409,212	18,041	-	592,286	35,869	161,026	1,216,433
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
გადაჯგუფება	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	493,552	18,041	602,503	1,847,879	297,802	535,312	3,795,089
<i>ცვეთა და ამორტიზაცია</i>	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 1 იანვარი 2023	-	-	180,158	251,545	76,351	76,557	584,611
წლის დარიცხული ცვეთა	-	-	30,125	168,213	46,635	38,431	283
გასვლა	-	-	-	-	(6,339)	(1,575)	(4,764)
გადაჯგუფება	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	-	210,283	419,758	122,986	113,413	866,439
ნაშთი 1 იანვარი 2024	-	-	210,283	419,758	122,986	113,413	866,439
წლის დარიცხული ცვეთა	-	-	30,160	174,581	47,410	48,015	300,465
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
გადაჯგუფება	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	-	-	240,443	594,338	170,696	161,428	1,166,905
საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-	-
1 იანვარი 2023	84,340	-	422,345	980,881	160,738	300,354	1,948,658
31 დეკემბერი 2023	84,340	-	392,220	835,836	138,948	260,873	1,712,216
31 დეკემბერი 2024	493,552	18,041	362,060	1,253,541	127,107	373,884	2,628,184

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

3. არამატერიალური აქტივები

	სხვადასხვა არამატერიალური აქტივები
ღირებულება	
ნაშთი 1 იანვარი 2023	
დამატება	
გასვლა	
გადაჯგუფება	
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-
ნაშთი 1 იანვარი 2024	-
დამატება	6,339
გასვლა	
გადაჯგუფება	
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	6,339
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	-
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი 2023	-
31 დეკემბერი 2023	-
31 დეკემბერი 2024	6,339

4. მარაგები

	2024 წ. 31 დეკემბერი	2023 წ. 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	10,172	8,000
ნედლეული და მასალები	97,719	89,000
საქონელი	36,655	3,000
	144,546	100,000

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წ. 31 დეკემბერი	2023 წ. 31 დეკემბერი
დებიტორული დავალიანება	1,420,588	848,239
გადახდილი ავანსები	139,594	11,340
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,279	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,561,461	859,579

6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2024 წ. 31 დეკემბერი	2023 წ. 31 დეკემბერი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	302	4,548
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	65,828	178,340
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	281	1
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	66,411	182,888

7. მიღებული სესხები

	2024 წ. 31 დეკემბერი	2023 წ. 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხები	2,129,353	584,260
მოკლევადიანი სესხები	225,000	225,340
სულ მიღებული სესხები	2,354,353	809,600

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

8. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2024 წ. 31 დეკემბერი	2023 წ. 31 დეკემბერი
ძირითადი მასალა და ნედლეული	(1,816,255)	
შრომის ანაზღაურება	(1,387,776)	
შესაფუთი მასალა	(220,479)	
კომუნალურები	(132,612)	
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(3,557,122)	(2,905,746)

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წ. 31 დეკემბერი	2023 წ. 31 დეკემბერი
საიჯარო ქირა	(4,240)	
სამეურნეო ხარჯები	(138,852)	
საკონსულტაციო ხარჯები	(55,080)	
საპენსიო ხარჯები	(29,126)	
კომუნიკაციის ხარჯები	(17,126)	
დაზღვევის ხარჯები	(1,701)	
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	(15,510)	
საბანკო ხარჯები	(5,170)	
საბროკერო ხარჯები	(182)	
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	(266,988)	

10. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

	2024	2023
ხელფასი და სარგებელი	-	281,000
სულ ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება	-	281,000
	2024 წ. 31 დეკემბერი	2023 წ. 31 დეკემბერი
გაცემული სესხი და მასზე დარიცხული პროცენტი	-	-
დავალიანება დაკავშირებული იურიდიული პირის მიმართ	-	62,000

სასამართლო დავები

კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს შეამციროს ყველა შესაძლო დანაკარგი და ამ მიზეზით ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებშიც კი უხდებოდა მონაწილეობის მიღება სასამართლო დავებში. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად თვალყურს ადევნებს პოტენციურ სასამართლო პროცესებს.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილ გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

შპს „ემ სი ბი ჯორჯია“

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანიამ იღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 30/09/2025.

დირექტორი: ალექსანდრე რატიშვილი (პ/ნ 01024013895)

ხელმოწერა: _____

2025 წლის 29 სექტემბერი,

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მპს „ემ სი ბი ჯორჯია“

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანიამ იიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.


კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 30/09/2025.

დირექტორი: ალექსანდრე რატიშვილი (პ/ნ 01024013895)

ხელმოწერა: 

2025 წლის 29 სექტემბერი,

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.